ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N47

20.12.2024 წელი
12:30 საათი

ქალაქ თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
ოთახი 3-01

მიმდინარე წლის 20 დეკემბერს 12:30 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: **გურამი ოქროპირიძე** (კომისიის თავმჯდომარე), **გივი ჩხარტიშვილი** (კომისიის წევრი) და **ანა კილაძე** (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი **გაიოზ თალაკვაძე** და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 3 (სამი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი *(საფუძველი წერილი #12-032434554-03, 10.12.2024წ.).*
   მომხსენებელი - გაიოზ თალაკვაძე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დადგენილების პროექტის შესახებ ინფორმაცია, კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა წარუდგინა.

გაიოზ თალაკვაძე - მოგესალმებით, წარმოგიდგენთ ქალაქ თბილისის 2025 წლის ბიუჯეტის საბოლოო პროექტს, რომელიც განისაზღვრა 1 983 178,0 ათასი ლარით, რაც 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (1 763 354,7 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 219 823,3 ათასი ლარით, ხოლო 2025 წლის პირველად წარდგენილ ბიუჯეტის პროექტთან (1 826 308,6 ათასი ლარი)

შედარებით გაზრდილია 156 869,4 ათასი ლარით. აღნიშნული გამოწვეულია საკუთარი შემოსულობების დაზუსტების, „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის“ გათვალისწინებით, რომლის თანახმად გადასახადების ჯამური მოცულობა იზრდება 81 693,2 ათასი ლარით, მათ შორის ქონების გადასახადი იზრდება - 15 000,0 ათასი ლარით, ხოლო დამატებული ღირებულების გადასახადი - 66 693,2 ათასი ლარით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები კაპიტალური სპეციალური ტრანსფერის სახით დამატებით გამოეყოფა 80 000,0 ათასი ლარი, ხოლო სხვა არაკლასიფიცირებულ შემოსავლებში გვაქვს დაზუსტება, რომელიც განისაზღვრა 4 823,0 ათასი ლარით.

აღნიშნული ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული ასიგნებების მატება გადანაწილებულია შემდეგი მიმართულებით: 46 000,0 ათასი ლარი დაემატა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენის მიმართულებით, აქედან 32 000,0 ათასი ლარი მოხმარდება რუსთაველის გამზირის რეაბილიტაციას, 10 000,0 ათასი ლარი ჩოლოყაშვილის ქუჩის რეაბილიტაციას, ხოლო ზოგადი პროექტები დაფინანსდება 4 000,0 ათასი ლარით; საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობას დაემატა 8 700,0 ათასი ლარი, რომელიც მოხმარდება წყნეთის გზატკეცილზე საყრდენი კედლების მოწყობას; გარე განათების ქსელის ექსპლუატაციას და რეაბილიტაციას ემატება 5 000,0 ათასი ლარით, საიდანაც 2 000,0 ათასი ლარი მოხმარდება ახალი სანათების შეძენას, ხოლო 3 000,0 ათასი ლარი რუსთაველის გამზირის და ჩოლოყაშვილის ქუჩის გარე განათების ქსელის მოწყობას; ქალაქის განვითარების ხელშეწყობას ემატება 7 000,0 ათასი ლარი, ჭადრაკის სასახლის ფასადის რეაბილიტაციისთვის, ხოლო მთლიანად სასახლის რეაბილიტაცია 2026 წელს იგეგმება; 20 500,0 ათასი ლარი ემატება სკვერების რეაბილიტაციას; 12 000,0 ათასი ლარი დასუფთავების ღონისძიებებს, სადაც გათვალისწინებულია რუსთაველის გამზირის და ჩოლოყაშვილის ქუჩის მიწისქვეშა კონტეინერების მოწყობას, ხოლო 1 000,0 ათასი ლარი თბილ-სერვისის საწყობს მოხმარდება; თბილისის ზოოლოგიური პარკის განვითარებას 2 000,0 ათასი ლარი ემატება, აქედან 1 500,0 ათასი ლარი ახალ მისამართზე წყლის სისტემის მოწყობას მოხმარდება, ხოლო 500,0 ათასი ლარი ვოლიერებს, აღნიშნული სამუშაოების დასრულების შემდეგ შესაძლებელი იქნება ზოოპარკის ახალ მისამართზე სრულად გადასვლა და ფუნქციონირება; ბოტანიკური ბაღის მიმდებარედ ლეღვთახევის გამაგრებითი სამუშაოებისთვის 5 400,0 ათასი ლარი დაემატება; რაც შეეხება სპორტული მოედნების მშენებლობა-რეკონსტრუქციას მოგეხსენებათ, რომ ,,ედელვაისის მოედანს“ ესაჭიროება რეაბილიტაცია, აღნიშნულთან დაკავშირებით პროგრამას 4 000,0 ათასი ლარი ემატება, ხოლო ვერის კორტების რეაბილიტაციას 2 500,0 ათასი ლარი მოხმარდება; ქონების დაცვის უზრუნველყოფისთვის უსაფრთხოების სამსახურს ემატება 2 000,0 ათასი ლარი, რაც მოხმარდება სკვერებში და პარკებში ვიდეო კამერების შეძენას და დამონტაჟებას; ცხოველთა მონიტორინგის სამსახურს ემატება 6 000,0 ათასი ლარი, რაც გლდანში ცხოველთა ახალი თავშესაფრის მშენებლობას მოხმარდება; ბიუჯეტის მატებით გათვალისწინებული დანარჩენი 35 743,0 ათასი ლარი გადანაწილებულია რაიონულ გამგეობებზე, მიუხედავად ამისა ეს თანხა არაა საკმარისი და რაიონული გამგეობების ბიუჯეტს 2025 წელს ბიუჯეტის ცვლილების შედეგად გარდამავალი ნაშთით შევავსებთ, სადაც სავარაუდოდ 80 000,0 ათასი ლარის ფარგლებში თავისუფალ თანხას ვვარაუდობთ, აქედან ვფიქრობთ 50 000,0 ათასი ლარი დაემატოს ავტობუსების სუბსიდირებას, 10 000,0 ათასი ლარი გათვალისწინებულია ეკო-სერვისისთვის, 17 000,0 ათასი ლარი ბაგა-ბაღების პედაგოგების ხელფასების მატებას მოხმარდება, ხოლო 3 000,0 ათასი ლარის დამატებას გარემოს დაცვის მიმართულებით ვფიქრობთ, დანარჩენი თანხა გადავა რაიონული გამგეობების ბიუჯეტში.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

აზრი გამოთქვეს:

გურამ ოქროპირიძე - სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულებით გათვალისწინებულია რიგი რეკომენდაციები, მხოლოდ ორი პროექტი დარჩა, რომელთა ასახვასაც ველოდებით ბიუჯეტის ცვლილებასთან ერთად. ესენია დიღმის მასივში მულტიფუნქციური ცენტრის სამშენებლო სამუშაოების დაწყება და მწვრთნელთა მხარდაჭერის პროგრამაში ჩართული პირებისთვის ჰონორარის 10%-ით გაზრდა.

გაიოზ თალაკვაძე - ბიუჯეტის ცვლილების შედეგად, რომელსაც თებერვლის პირველ ნახევარში ველოდებით შესაძლებელი უნდა იყოს მწვრთნელთა მხარდაჭერის პროგრამის 10%-ით გაზრდა. რაც შეეხება დიღმის მასივში მულტიფუნქციური ცენტრის საკითხს, წლის განმავლობაში მიღებული ეკონომიებიდან შესაძლებელი იქნება პროექტისთვის საჭირო დაფინანსების გამოყოფა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხრე - გურამი ოქროპირიძე, გივი ჩხარტიშვილი, ანა კილაძე - (3),

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა -(0).

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გურამი ოქროპირიძე